1888 წელსა, № 20 30 ოქტომბერსა

მწყემსი

ოფიციალური ნაწილი.

კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან

მოწოდება.

მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ უბრძანა მოწაფეთა თვისთა, რათა შეიყვარონ ერთმანეთი, როგორც თავისი თავი. ამ მცნების ძალი ო თვითეული ჩვენგანი ვალდებულია, შემლებისაებრ, ეცადოს შეეწიოს თავის მოყვასს. უდიდესი შემწეობა მოყვასისათვის არის მოქცევა მისი ჭეშმარიტი ღვთისადმი, საცხოვნებლად სულისა. მაგრამ ყველას და ყველგან კი არ ეძლევა შეძთხვევა შეასრულოს ამისთანა ღვთის სასიამოვნო საქმე. ეს მოწოდება კი უჩვენებს მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს ამ გვარ შემთხვევაზე.

მოსაქცეველად მართლ-მადიდებელი ეკლესიის წიაღსა შინა მის ცთომილ ძეთა—კავკასიელ მთიულთა, რომელნიც ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ შემდეგ მაჰმადიანობა მიიღეს, ამ 30 წლის წინად შესდგა „კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება.“ მიისწრაფვიდა რა ესრეთი მაღალი მიზნისადმი, იგი მთავრობის მსრით ნივთიერის დახმარებით, უშენებდა მათ ეკკლესიებს, რომელთაც ამკობდა საეკკლესიო ეოველივე მოწეობილებაებით, სსსნიდა სოფლებში სამრევლოებს და ინახავდა თავის სარჯით ეკკლესიის კრებულთ, აგრეთვე აშენებდა სადგომებს სკოლებისათვის, რომელნიც იმართებოდენ მთიულების გასანათლებლად, ინახავდა მისიონერებს და საზოგადოდ ეოველივე ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ თავის მიზნისადმი მიეღწია.

მაგრამ ის, რაც გაუკეთებია დღემდის საზოგადოებას, არ კმარა და კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი; ამისათვის საზოგადოების რჩევა, რომელიც საზოგადოების მოთავეა, იწვევს ყველა ჭეშმარიტ მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს აღმოუჩინონ ამ კეთილს საქმეს, შემლებისა და გვარად, შემწეობა და მით მიიღონ მონაწილეობა ღვთის ესრეთ სასიამოვნო საქმეში—მოყვასთა განათლებაში ქრისტეს მაცხოვარებითი სწავლითა, რომელნიც იმ-

თბილისი

ეოფებიან „ბნელსა შინა და აჩრდილსა სიკვდილისასა.“

შეწირულებანი როგორც საეკლესიო სამკაულებით, ისე ფულით უნდა გაიგზავნოს ამა საზოგადოების რჩევის სახელზე, ქ. თბილისში.

საზოგადოებაში წევრად ჩაწერის მსურველთ შეუძლიათ მიმართონ საზოგადოების რჩევას და მასთან უნდა გაგზავნონ წესდებით განსაზღრული ფულის რაოდენობა, რომელთაც გაეგზავნებათ შეწირული ფულის მიხედვით წმ. ნინოს ჯვარი საკარებლად—პირველისა და მეორე ხარისხისა ყელზე, ხოლო მესამე და მეოთხე ხარისხისა გულზე.

1888 წელსა, № 20 30 ოკტომბერს.

მწყემსი

1883-1888

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ოთვალი თვის იხუთმეტს და ოცდა-ათ რიცხვებში.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოშ, ეპარხიელის დადგენილობის ძალით 1-ს სეკტემბრიდგან № 23, მუხ, III, პირველ ნოემბრისათვის 1888 წ. თვის კრებაზედ დანიშნა კაჭრობა ნარდად გატემაზედ ქვის ეკლესიის აშენებისა სასწავლებლის უმთავრესი შენობის გვერდით. ამ კაჭრობას, კანონისამებრ, უნდა მოჭიესს სამი დღის შემდეგ განმეორებითი კაჭრობა. კაჭრობის დროს ნება დართულია მოტილეობა მოკაჭრეთა შორის როგორც სიტყვიერად, აგრეთვე დაბეჭდილი განცხადების საშვალებით. ამ შენობის ასაგებად დამტკიცებული სმეტისამებრ დანიშნულია საკუთრად მუშაობისათვის და სხვა-და-სხვა მასალებისათვის 16443 მ. 81 კ. ამ თუალის ანგარიშში ნარდად ამდენი ნება აქვსთ შენობისთვის იხმარონ ძველი ტაძრის და ძველი ციხის ქვები სასწავლებლის შენობის მასალობად, თანახმობით სასწავლებლის სამმართველოისა. სიტყვიერ კაჭრობაში შემოსვლა კისაც სურს, კალდებულნი არიან კაჭრობისა. თვის დანიშნულს დღეს 12 საათამდი შემოიტანონ ამაზედ განცხადება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში. ამ პირთა განცხადებასთან უნდა წარმოადგინონ ორი მოწმობა—გილდისა და თავიანთ წოდებაზედ, და აგრეთვე მისალებად ნება-დართული გირაოები. გირაონი, სანარდო თუალის ერთ მესამედად ღირებულნი, უნდა შეადგენდენ ან ნაღდს თუალს, ბანკის ბილეთებს და სხვა კრედიტის ქაღალდებს, ან გირაოს მოწმობებს ქალაქის მამულებზედ.

გირაოს მიმტანთა რწმუნების წერილებში უნდა იყოს ნათქვამი, რომ ისინი მაინდობენ რწმუნებულ პირთ გირაოებს წინდათ სამუშაოის ნამდვილად აღსრულებისა და ბეთ დატოვლის თუალებისა, აგრეთვე უკეთა სხვა გადასასდთა და ჯარიმათა, რომელნიც შეიძლება დაატუდეს ნარდად ამდენს ნარდად აღებულის საქმისა გამო,—თუ ეს ოთვალეკეა არ იქმნა მოხსენებული გირაოებს არ მიიღებენ.

საზოგადოდ განცხადებებს კაჭრობაზედ უნდა დაგრეული ჰქონდესთ ღერბის მარკები და დაწერილი უნდა იყვნენ ფორმისა მებრ, რომელიც თან დართული აქვს მუხ. 1909 ტ. X ნაწ. I. განცხადებაში უნდა იყოს ასოებით დაწერილი და თან გამოცხადებული უნდა იყოს სურვილი ნარდად საქმის აღებისა ეკეკლესიერში თანახმად კაჭრობაზედ წარმოდგენილის პირობებისა, პროექტის და სმეტისა. განცხადებები, რომელნიც ამა მოთხოვნილებების თანახმად არ იქნება დაწერილი, ჩაითვლებიან გაუქმებულად.

კისაც სურსი ნახონ პროექტი და სმეტა ამ ნარდად ასაღები საქმისა, შეუძლიათ მიიქცენ ქუთაისის სასულიერო სასწ. ზედამხედველთან ოთვალ დღეს დილის 9 საათიდამ ნაშუადღეკის 2 საათამდის, გარდა კვირაუქმე დღეებისა. ზედამხედველთან აგრეთვე შეიძლება შეიტყონ უადვილესი საშუალება ადგილზედვე წყლის შოვნისა და შენობისთვის კარგისი და გამოსადეგი ნანგრევი ქვების მოგროვებისა.

მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა მოგზაურობა მოწამეთის მონასტერში.

საიმპერატორო მატარებელი გაჩერდა მოწამეთის პირ-და-პირ რკინის გზის ახლად გაკეთებულ ბაქანთან. მათი უდიდებულესობანი უავგუსტოესი შვილებით თურთ გადმოვბრძანდნენ ვაგონიდგან და ამალით გაემგზავრენ მონასტრისაკენ ფეხით. მონასტრის გზა და ეზო სავსე იყო მახლობელი სოფლებიდამ მოსული ხალხით, რომლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თვით ბუნებაც თითქო თანაუგრძნობდა ხალხს: დილიდგან სულ მოღრუბლული იყო, მაგრამ ეხლა ცა მოიწმიდა. მათი იმპერატორებითი

უდიდებულესობანი მიბრძანდებოდენ მონასტრისკენ და თან სტკბებოდენ მშვენიერი არე-მარეს ცქერით. მონასტეში მათ უდიდებულესობათ მიეგება მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ბესარიონი მონასტრის ძმებითთურთ. მათი უდიდებულესობანი ემთხვივნენ ჯვარს და შემდეგ შებრძანდენ ეკკლესიაში, სადაც შესრულებულ იქმნა მცირე პარაკლისი. შემდეგ ქუთაისის საკრებულო ტაძრის დეკანოზმა მ. ზ. Ⴚაგარეიშვილმა მიართვა მათ უდიდებულესობათ ხატი წმ. Ⴃავით და კონსტანტინესი და მასთან წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

«ყოვლად მოწყალეო ხელმწიფეო!

სამახსოვროდ აწინდელის უდიდესის და უბედნიერესის მონასტრისათვის შემთხვევისა, ნება უბოძეთ მონასტრის ძმათა მისის წინამძღვრის არქიმანდრიტის ხელით მოგართვასთ თქვენ ხატი დიდთა წმიდათა მოწამეთა, არგვეთის მთავართა დავითის და კონსტანტინესი, რომელთა უხრწნელი ნაწილნი აქვე განისვენებენ, და მარადის ევედრონ მათ მათის უკვდავის შუამდგომლობისათვის ღვთის წინაშე მოსანიჭებლად თქვენდა და თქვენის ავგუსტოესის სახლისა ზეციურის კეთილ-კურთხევისა, რათა ფხიზლად სდგეთ დარაჯად მეირთვასის სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის, რომელთათვისაც მათ დასდვეს სულნი თვისნი.

შემდეგ მათ უდიდებულესობათა დაწვრილებით დაათვალიერეს ძველნი საწმიდონი, რომელნიც ინახებიან მონასტერში და მონასტრის ყველა შენობები; შემდეგ კიდევ დახედეს მონასტრის არე-მარეს და მერე გაემგზავრენ რკინის გზის ბაქანზე, აქ შებრძანდენ ვაგონში და გამოემგზავრენ ქუთაისში, სადაც მობრძანდენ ნაშუადღევის ექვსი საათის ნახევარზე. ქუთაისის რკინის გზის სადგურიდგან მათი უდიდებულესობანი პირ-და-პირ სასახლეში მიბრძანდენ.

ამ ხანებში დიდი მზადება იყო ქუთაისის ბაღში, სადაც მათ უდიდებულესობათა მისაღებად პავილიონი იყო აგებული. ეს პავილიონი ძლიერ ლამაზი და პატარაა, მაგრამ ერთობ კოხტა და ლაზათიანი, სულ ქანდაკით და ჩუქურთმით არის ნაკეთები. მათ უდიდებულესობათ აქ უნდა მიერთმიათ სალამოს ჩაი და ხილი. ბაღის გასანათებლად დიდი მზადება იყო, მაგრამ არც გარეშემო შენობები ჩამორჩენილან უკან. Ⴈანსაკუთრებით კარგათ განათლებული იყო საურთიერთო ბანკის სადგომი. სანამ ჩაიზე მობრძანდებოდნენ მათნი უდიდებულესობანი, სადილი უნდა მიერთმიათ საქალო გიმნაზიაში, სადაც მათ უდიდებულესობათა მიპატიჟებული ჰყავდათ საპატიო ქალი და კაცი ყველა მხრიდგან. სუფრა იყო გაწყობილი 150 კაცისათვის; საჭმელების სიაზე გამოხატული იყო სურათები კავკასიის ცხოვრებიდგან.

8 საათზედ მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი სახლობითთურთ და დაბრძანდნენ ნადიმად. სადილის შემდეგ, ათ საათზედ მათნი უდიდებულესობანი მობრძანდნენ პავილიონში. ბაღში ათასის კაცისათვის სუფრები იყო დამზადებული მამასახლისებისათვის და ქუთაისის მოხელეთათვის. Ⴓნდა გენახათ, რა ალერსიანად და სიამოვნებით უყურებდნენ საზოგადოებას მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი. «Ⴖმერთო, ჰფარავდე მეფეს» შემდეგ გაიმართა ლეკური და იქვე გალობა. Ⴈმღერეს ქართული სიმღერები. მერე კიდევ ლეკური. Ⴆანსაკუთრებით მოეწონა პატარა ბავშვის გაბაშვილის ცეკვა და გაამეორებიეს კიდეც.

პავილიონიდამ მათნი უდიდებულესობანი გამობრძანდნენ ხალხთან; შეიქმნა საშინელი «ურა»-ს ძახილი, ყველა ცდილობდა ახლოს მისულიყო. მათმა უდიდებულესობამ ალერსიანად სალამი მისცა ხალხს. წესიერება საუცხოვოდ იყო დაცული.

12 საათის ნახევარზე ჩვენი უავგუსტოესი სტუმრები წაბრძანდნენ პავლიონიდგან პირდაპირ ქუთაისის რკინის გზის სადგურზე, აქ ჩასხდენ ვაგონში და გაემგზავრენ ბათუმისკენ. გზაზე ხელმწიფე იმპერატრიცას ერთი პაწია ქალი შეხვდა და შემოეხვია მუხლებზე. როცა ჰკითხეს, რა გსურსო, მან უპასუხა: «სწავლაო». მათ უდიდებულესობათ ჩააწერიეს ყმაწვილის ვინაობა.

ქართველს ხალხს ნაანდერძევი აქვს თავის წინაპართაგანვე მეფის სიყვარული—და ეს სიყვარული იმან სრულის სიძლიერით გამოიჩინა ეხლაც, ხელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფე იმპერატორის ხილვაზე: გულიდამ წარმომდინარე მხურვალე სიყვარული ხელმწიფისადმი, უგულწრფელესი ერთგულება მწყალობელი მეფისადმი ისე თვალსაჩინოდ იხატებოდა ხალხში თითოეულ ნაბიჯზე, რომ ეს არ შეეძლო არ შეენიშნა თვით იჭვიან კაცსაც. როგორც ვკითხულობთ გაზ. «Нов. обоз.»-ში, «ყველანი გრძნობენ, რომ მათ უდიდებულესობათა მობრძანება ღრმა კვალს აღბეჭდავს ჩვენს ცხოვრებაში და მშვიდობიანობასა და ნდობას ჩამოაგდებს კავკასიის სხვა-და-სხვა ერთა შორის; ყველანი გრძნობენ, რომ შფოთს ბოლო მოელო და უმაღლესი ხელმწიფება იმას-კი არა თხოულობს, რომ ადგილობრივთა მკვიდრთა ხელი აილონ თავიანთს ენაზე, რწმენასა და წინაპართა ზნე-ჩვეულებაზე, არამედ თხოულობს შინაგანსა, და არა გარეგანს ერთობას რუსეთთან და თავ-განწირულს ერთგულებას ტახტისას და სახელმწიფოსადმი; ყველანი ჰგრძნობენ, რომ ხელმწიფე იმპერატორი დარწმუნებულია ამ ერთგულებაზე. ყველანი, ვითარცა ერთი კაცი, დარწმუნებულნი არიან, რომ მკვიდრნი, როგორც წინად, ამას შემდეგაც დაამტკიცებენ ერთიანობას საქმისას და სიტყვისას.

«მათ უდიდებულესობათა კავკასიაში მობრძანებას ამ ფრიად სასიხარულო შედეგს გარდა სხვა სიკეთეც მოჰყვება თან. ნიშნად თავისის მზრუნველობისა კავკასიის მკვიდრთა კეთილდღეობასა და წარმატებაზე, ხელმწიფემ ბრძანა წარუდგინონ განსახილველად უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა პროექტი კავკასიის ტეხნოლოგიურის ინსტიტუტისა, რომელშიაც სააგრონომიო განყოფილებაც უნდა იყოს, და აგრეთვე იმის პროექტიც, რომ კავკასიაზე გაავრცელონ სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკების მოქმედება. რა თქმა უნდა, რომ ყველა ეს კეთილ-განზრახვანი ხელმწიფე იმპერატორისა წინ წასწევს ჩვენი ქვეყნის წარმატებას».

სიტყვა,

იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ თქმული გელათის მონასტერში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა მობრძანების დროს ამ მონასტერში, 13 ოქტომბერს 1888 წელსა.

უკეთილმსახურესო ხელმწიფეო!

ლმობიერებით და ღვთისადმი მადლობით გეგებებიან შენ მდაბალნი ბერ-მონაზონნი ამა ძველი უდაბნოისა. ეს უდაბნო დღემდის არასოდეს არ ყოფილა გაბედნიერებული იმპერატორებით უდიდებულესობათა ნახვით და დღევანდელი შენი მობრძანება დედოფლით და უავგუსტოესი ძენითურთ საუკუნოდ აღიბეჭდება როგორც ამ უდაბნოის ბერ-მონაზონთა გულში, ისე ამა მხარის ყველა მცხოვრებთა გულში, როგორც უმაღლესი მაგალითი სამეფო ოჯახის კეთილ-მსახურებისა.

ამა ტაძრის შენება დაწყებულია მეფე დავით აღმაშენებლისაგან მეთერთმეტე საუკუნეში, ხოლო დასრულებით კი დაუსრულებია მის ძეს მეთორმეტე საუკუნეში. ეს ტაძარი ეკუთვნის კავკასიის იმა ტაძრების მცირე რიცხვსა, რომელნიც ღვთის განგებით გადარჩენილან მტერთაგან დაქცევას, და დღემდის უწინდელს თავიანთ მდგომარეობაში არიან. სამწუხაროდ მრავალ საუკუნოებმა თავისი კვალი დააჩინეს ამ ტაძარს, რომელიც ამიტომ საჭიროებს განახლებას და შეკეთებას, მაგრამ საშუალებათა უქონელობისა გამო ყოვლივე ეს შეუსრულებელი რჩება. ბერ-მონაზონთა რიცხვი ამ მონასტერში, სადაც უწინ ასობით იყვნენ ბერ-მონაზონი, შემცირებულია დღეს, მაგრამ არ შემცირებულა მათში კეთილ-ცხოვრება და სულიერი მოღვაწეობა, თუმცა იგინი სხვა ყოვლივე მხრით უკიდურეს სიღარიბეში იმყოფებიან.

მღვდლის სამსახურისადმი მოწოდებაზე. *)

მღვდელობის სამსახურისათვის მომზადების ესრეთმა საშუალებამ კარგა ხანს გასტანა. დადგა დრო არეულობათა და მოუსვენრობათა. რომის სახელმწიფო ორ სახელმწიფოთ გაიყო; ეს ორი სახელმწიფო თუმცა ხან-დის-ხან ერთდებოდენ ხოლმე ერთ სახელმწიფოდ, მაგრამ ბიზანტიელ იმპერატორთა გავლენა დასავლეთში თან-და-თან სუსტდებოდა და ეცემოდა. ევროპას დაესხა თავს აუარებელი რიცხვი სხვა-და-სხვა ბარბაროსთა, რომელთაც ცეცხლითა და ხრმლით დაანგრიეს რომის იმპერია და დაარსეს ახალი სახელმწიფოები.—ამასთანავე მოისპო რომის განათლება და ადგილი დაუთმო უმეცრების სიბნელეს. ამასობაში თვით რომში ძლიერდებოდა გავლენა რომის მღვდელ-მთავრებისა, რომელთაც განიზრახეს ხელში ჩაეგდოთ მთელი სასულიერო და სამოქალაქო მთავრობა მთელის ქვეყნისა. ამ განზრახვის აღსრულებისა და გაუნათლებლობისა გამო დასავლეთის საპატრიარქო რომის პაპითთურთ მოცილდა მართლ-მადიდებლობას, გაეყო მსოფლიო მართლ-მადიდებელს ეკკლესიას. მეორე მხრით აღმოსავლეთის მართლ-მადიდებელს ეკკლესიას სულ თან-და-თან ავიწროებდა და მუსრავდა მრისხანე მახმადიანთა შემოსევა, რომელსაც თან მოჰყვა ქვეყნის აოხრება და გონებრივი და სულიერი სიბნელე. ამ ველურმა ძალამ დაამხო ალექსანდრია, წმიდა ქალაქი—იერუსალიმი და თვით სტამბოლიც. თუმცა აღმოსავლეთის ეკკლესიამ მართლ-მადიდებელი სარწმუნოება მოჰფინა მრავალ რიცხოვან სლავიან ხალხთა შორის, მაგრამ აქაც ერთის მხრით ნემცებმა პაპის თაოსნობით, მალე განდევნეს მართლ-მადიდებლობა, მეორეს მხრით რუსეთის დარბევამ მონგოლთაგან და ხანგრძლივმა მათმა უღელმა ძლიერ შეუშალეს ხელი ეკკლესიის ცხოვრების სრულს განვითარებას. ესრეთის გარემოების მეოხებით სამღვდელო სამსახურისთვის მომზადება მრავალ საუკუნოების განმავლობაში, აღზრდა და განათლება სამღვდელო პირთა არ გასცილებია მონასტრის კედლებსა და ეპისკოპოზების კათედრებს. ბოლოს დასავლეთის ევროპამ მოითქვა სული. სტამბოლი რომ დაიქცა, ბერძნები იქიდამ ევროპაში გადიხიზნენ და თან მოიტანეს ბერძნულ—რომაული განათლება არისტოტელის ფილოსოფიითურთ. დაარსდენ სკოლები და უნივერსიტეტები, მათ მოჰყვენ ცალკე სამღვთო სამსახურისათვის მოსამზადებელი სასწავლებლებიც. დასავლეთის მაგალითმა აღმოსავლეთშიაც დაჰბადა ესრეთი მოსამზადებელი სკოლები.

რაც ზევითა ვსთქვით, იქიდამ ცხადად სჩანს, თუ რამდენად საჭიროა ცალკე მომზადება საღვთო სამსახურისათვის. მაგრამ აქ იბადება კითხვა, როდის და რა წლოვანებიდგან უნდა დაიწყოს მზადება, ე. ი. სასულიერო ზნეობრივი აღზრდა და გონებრივი განათლება სამღვდელო სამსახურისათვის? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა დიდი გავლენა აქვს ნორჩი ყმაწვილის აღზრდას მის ზნეობრივად და სულიერად განმტკიცებისათვის შემდეგს ცხოვრებაში და გაღვიძებისათვის მასში საღმრთო მოწოდებისა; ვნახეთ აგრეთვე, რომ ეს იყო შინაური აღზრდა. აქედამ, შეგვიძლია, ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ თუ შინაური აღზრდა და პირველ დაწყებითი სკოლები დაფუძნებული იქმნებიან ქრისტიანულს სწავლაზე და კეთილმსახურებაზე, მაშინ საჭირო აღარ იქნება დაარსება ცალკე სასულიერო სკოლებისა მცირე წლოვან ყრმათათვის. ეს წარსული წლის საუკუნოებშიაც ასე იყო. ჩვენდა საუბედუროდ, ახალს დროს, ჩვენი განათლებული საზოგადოების ოჯახებს შემოეპარათ სული დასავლეთის ურწმუნოებისა და საერო განათლებისა და ოჯახებიდგან ეს მავნე მიმართულება გადაედვა სკოლასაც. საშინელი და სამწუხარო მოვლენანი ამ გვარის განათლებისა და აღზრდისა მოხდენ ჩვენი თვალის წინ. მათგან შიშის ქარები ჩაუდგათ თითქმის თვით უმხურვალეს მომხრეთა დასავლეთის განათლებისა; ამის გამო მათ თვალი აეხილათ, გონება გაერკვიათ და აი, ღვთის მადლით, სინი ისევ უბრუნდებიან უფრო საღს და ფხიზელს

*) იხ. «მწყემსი»-ს № 19.

აზრებს და მიმართულებას. მაგრამ ეს ჯერ კიდევ დასაწყისია და ამიტომ, ჩვენის აზრით, ჯერ კიდევ ძლიერ საჭიროა პირველ დაწყებითი სასულიერო სკოლები. მხოლოდ ვისურვებთ, რომ ამ სკოლებში კარები ღია იყოს არა მარტო სასულიერო წოდების ყრმათათვის, არამედ სხვა წოდების ბავშვებისათვისაც. ამ სკოლაში მეცნიერულ სწავლასთან ერთად და თითქმის უპირატესადაც, უნდა იყოს მიქცეული ყურადღება სასულიერო ზნეობრივს განათლებაზედ და დანერგვაზედ ყრმათა გულში ეკლესიისადმი სიყვარულისა. სახეში კი უნდა ვიქონიოთ, რომ ესრეთი მიმართულება უკიდურეს წერტილამდი—განდეგილობამდი არ მივიყვანოთ და არც ძალა დავატანოთ მოზარდთა ბუნებას.—ეს ნაკლი სჭირთ ბევრს დაწყებითი და საშუალო დასავლეთის ლათინურს სკოლებს, განსაკუთრებით, რომლებიც ბერების—იეზუიტების არიან. ამ გვარი ძალდატანების წინააღმდეგობას ხშირად მეტად სამწუხარო ნამოფი მოაქვს. ესრეთის სკოლის მოწაფე იყო თვით ვოლტერიც, რომელსაც, მგონია, სულაც ამ გვარმა ძალდატანებითი აღზრდამ ჩაუნერგა გულში ურწმუნოება და ეჭვი ყოველივე სარწმუნოებისადმი. ერთი ვილაც ეგნატე ზესლარიო,—მოგვითხრობს—შმიდტი, ოთხი წლიდამ შეაყენეს ბერად, ჩააცვეს საბერო იეზუიტების ტანისამოსი, მიაჩვიეს ყმაწვილობიდგანვე დიდს მოთმინებას და ლოცვას, მაგრამ ბოლოს მან თვითან გაიძრო და გაადგა ანაფორა, უარი ჰყო პაპის სარწმუნოებას და მიიღო ლუთერანობა და ფრანკმასონობაც კი.

როდესაც ჩჩვილი ყრმა ჭაბუკდება, მაშინ იმას უფრო გასარკვევად ეჩვენება სულიერი და ზნეობრივი ნიჭიერებანი,—მაშინ ჭაბუკი მოზარდის ყოველგვარ მიდრეკილებას და ნიჭს თვალ-საჩინო ბეჭედი ასვია. აი მაშინ შეუძლია, როგორც თვითონ [illegible]მას, აგრეთვე მის მშობლებს ცხადათ დაინახონ ნიშნები მომავალი სამღვდელო მოწოდებისა. აი მაშინ შეიქნება აუცილებლად საჭირო მოსამზადებელი ცალკე სკოლა ყმაწვილებისათვის, რომელთაც ან თვითონ, ან მშობლების ნებისამებრ გადაწყვიტონ შეუდგნენ სამღვდელო სამსახურისათვის მომზადებას.

ჩვენ წინეთაც ვსთქვით, რომ როგორც სხვა წოდების პირთაგან, აგრეთვე სამღვდელო პირისაგანაც ითხოვება განსაკუთრებული საფუძვლიანი სწავლა. მეცნიერება და როგორც ექიმმა, სანამ ექიმობას მიჰყოფდეს ხელს, უნდა შეისწავლოს ადამიანის სხეულის აგებულება, სხვა-და-სხვა გვარი ავათმყოფობანი და სნეულებანი და მათი განმაკურნებელი წამლები; როგორც მეკანონემ ჯერ, სანამ იგი გახდებოდეს მსაჯულად ან ვექილად, უნდა შეისწავლოს სჯულდებანი და კანონები, გაიცნოს სხვა-და-სხვა ბოროტმოქმედებანი და ავკაცობანი და შეიგნოს, თუ რომელი მათგანი, რომელ კანონის მუხლს ექვემდებარებიან; როგორც ყოველი სხვა წოდებანიც და ხელობანიც ითხოვენ განსაკუთრებით სამეცნიერო და პრაქტიკულს მომზადებას: აგრეთვე სამღვდელო წოდებაც ითხოვს განსაკუთრებულს მეცნიერულს მომზადებითი გაწვრთნას და განათლებას. საზოგადო გამანათლებელს სკოლას არ შეუძლია დააკმაყოფილოს საღმრთო-მეტყველურის განათლების საგანი და მოთხოვნილება. იმას არ შეუძლია ხელი მოჰკიდოს საღმრთო მეტყველურ მეცნიერებათა, რომელნიც მეტი ბარგია ყველა მათთვის, ვინც სასულიერო წოდებას არ შესდგომია. მართალია, ამ საგანს დააკმაყოფილებდა საღმრთო მეტყველური განყოფილება უნივერსიტეტში, მაგრამ სასულიერო ზნეობრივი აღზრდა მაინც უსათუოდ თხოულობს საკუთარს ცალკე სასწავლებელს ღვთის-მეტყველების მოსწავლე ყმაწვილთათვის.—სასტიკი, თითქმის ბერული მოწყობილება სასულიერო რომაელთა-ლათინურ სასწავლებლებისა, რაც ზოგჯერ სრულიად უკლავდა ახალ-გაზდა კაცს თავისუფლებას და გარდაქმნიდა მას უსულო მანქანებად, რომელმაც მუდამ სხვის ნებაზედ უნდა იტრიალოს,—ლუთერანებში გამოიწვია ძრიელი წინააღმდეგობა და დაარწმუნა ისინი, რომ ცალკე დახურულ სასწავლებელში აღზრდა სამღვდელო პირთა მავნებელია. ამიტომ ლუთარანებში ვინც კი შეუდგება სამღვდელო სამსახურისათვის მომზადებას,—ყველა იღებს განათლებას უნივერსიტეტში სხვა სტუდენტებთან ერთად საღვთის-მეტყველო განყოფილებაში. აქ ესენი ატარებენ სხვა სტუდენტებთან ერთსა და იმავე ცხოვრებას. ამგვარ აღზრდას მალე მოჰყვა და ახლაც ცხადად ამჩნევია ცუდი შედეგები. მომავალ მღვდლებს მან დაუსუსტა კეთილ-ზნეობა; სარწმუნოება მათში ხშირად სუსტდება ეჭვიან და ურწმუნო ამხანაგების გავლენის ქვეშ და მრავალი ამ სასულიერო მოსწავ-

ლეთაგანი ხშირად იქამდე მისულან, რომ სრულიად უარი უყვიათ უმთავრეს ქრისტიანობის დოლმატებზედ. აქ სხვა სტუდენტებთან ცხოვრება სასულიერო სტუ. დენტებზე ცუდად მოქმედობს ცხოვრებაშიაც, როცა უკანასკნელნი მღვდლებად ხდებიან და თავის წოდების შესაფერ ცხოვრებას ველარ ახერხებენ, სტუდენტობის დროს შეჩვეულნი ამ ქვეყნიურს გაფანტულს დროს-ტარებას. ამიტომ დღეს მრავალ მტკიცე ზნეობის ლოთრანგები უარს ჰყოფენ ამ გვარს სამღვდელო პირთა აღზრდას და თხოულობენ, რომ მათთვის დაარსდეს ცალკე სასწავლებლები. ეს ჭეშმარიტი საბუთია, თავათ ცხოვრების ნაჩვევები, რომ საკუთარი სკოლები აუცილებლად საჭიროა იმ პირთათვის, რომლებიც სამღვდელო სამსახურისათვის ემზადებიან. მღვდლის სამსახურის მიზანია—ასწავლოს კაცთა ჭეშმარიტება უფლისა, ესე იგი მართლ-მადიდებელი სარწმუნოება, ღვთის-მსახურება და წარუძღვეს მათ შესასვლელად სასუფეველსა ღვთისასა, დარიგებითა, ღვთის-მსახურების და წმიდათა საშუალებით. მაშასადამე ვინც ამ სამსახურისათვის ემზადება, თვითონ უნდა საფუძვლიანად შეისწავლოს მართლ-მადიდებელი სარწმუნოება. წყარონი ამა სწავლისა არიან: საღმრთო წერილი და საღმრთო გარდმოცემა. საღმრთო გადმოცემის საჭიროებას გვიმტკიცებს ჩვენ თვით პავლე მოციქული; იგი სწერს კორინთელთა: (ა. ეპისტოლე 11, 1) «ხოლო გაქებ თქვენ, ძმანო, რამეთუ ჩემი ყოველივე გახსოვსთ, და ვითარცა იგი მიგეც თქვენ მოძღვრებაი, იგი შეიკრძალეთ, და სოლუნელთა (2. 2, 15): «ამიერიდგან, ძმანო, მტკიცედ სდეგით და შეიკრძალეთ მოძღვრებანი ესე, რომელიცა გისწავიეს გინა წიგნითა»; ტიმოთეს კი უბრძანებს (1 6, 20): «იგი დაიმარხე», და (ბ. 2, 2) «რა იგი გესმა ჩემგან, მრავლითა მოწამებითა, ესე შეჰვედრე მორწმუნეთა კაცთა». ამიტომ მისთვის საჭიროა საფუძვლიანად იცოდეს საღმრთო წერილი და მისი ნამდვილი აზრი, ესე იგი იცოდეს განმარტება საღმრთო წერილისა. გარდა ამისა იმან უნდა იცოდეს, თუ რად უნდა სწამდეს მას როგორც ჭეშმარიტება ღვთისაგან გამოცხადებული ყოველივე ის, რასაც ასწავლის მას მართლ-მადიდებელი ეკლესია; ამას ის შეიძენს კატეხიზმოის შესწავლით და დაწყებითი და დოლმატიურის ღვთისმეტყველებისაგან.

ქრისტეს სამწყსო, რომლის მოძღვრათაც ის იქნება,—რომ მან დაიფაროს სხვა და სხვა შემცდარი აზრებისაგან, მწვალებლობისაგან; მან უნდა კარგად იცოდეს ეს შემცდარი აზრები და კიდეეც შეეძლოს მათი გამტყუნება. ამაებს ის გაიცნობს მხოლოდ მხილებითი და შედარებითი ღვთისმეტყველებისაგან. ერთს უძლიერეს საშუალებათაგანს სარწმუნოების განსამტკიცებლად შეადგენს საეკლესიო ისტორია, როგორც მთელი ქრისტიანობის შესახებ, აგრეთვე კერძოდ რუსეთის ეკლესიისა,—და ღვთის-მეტყველების მსმენელმა ბეჯითად უნდა შეისწავლოს იგი. საღმრთო გადმოცემა, რომელიც შეუცვლელად დაცულია წმიდა ეკლესიისაგან, სარწმუნოების დოლმატები, გამტყუნება სხვა-და-სხვა პირებისა დაწერილნი არიან წმიდა მამათა თხზულებებში; ამიტომ ღვთის-მეტყველი კარგად უნდა გაეცნოს ამა თხზულებათა, უნდა შეისწავლოს ესრედ წოდებული პატროლოგია. მაგრამ მღვდლისათვის არ კმარა მხოლოდ სარწმუნოების ცოდნა, იმას უნდა შეეძლოს სწავლება, განმარტება და დარწმუნება და დაჯერება მასში სხვებისაც,—ამას ყველას შეისწავლის იგი ჰომილეტიკიდგან. თუ როგორ უნდა უჩვენოს მან ადამიანთა გზა ცხოვნებისა და როგორ უნდა წაუძღვეს იგი მათ ამ გზაზე,—ამას ასწავლის მას ზნეობითი ღვთისმეტყველება. მღვდელმა უნდა აღასრულოს ღვთის-მსახურება და წმ. საიდუმლონი ნამდვილად ისე, როგორც განსაზღვრა ეს წმიდა ეკლესიამ; ამიტომ მისთვის აუცილებლად საჭიროა შესწავლა საეკლესიო ტიბიკონისა და ლიტურგიისა. მრევლთა ცხოვნება და აგრეთვე თვით მღვდლისაცა ძლიერ დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორი კავშირი სუფევს მას და მის სამწყსოის შორის,—და იგი ამისათვის უნდა მოემზადოს სამოძღვრო ღვთის-მეტყველების შესწავლით. ბოლოს ეკლესიას, როგორც მთელს დაწესებულებას, აქვს თავისი საკუთარი აგებულება, მოწყობილება, თავისი რჯულ-მდებლობა; მას შეიცავენ დადგენილობანი წმ. მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა და [illegible]. მამათა,—ყველა ესენიც უსათუოდ უნდა იცოდეს მღვდელმა—და სამღვდელოდ მომზადების დროს იმათ უნდა შეისწავლონ ესენი მეცნიერებაში, რომელსაც ჰქვიან სჯულ-ნ კანონი. მიუმატოთ ამას ისიც, რომ ვინც მღვდლად ემზადება, მან უნდა იცოდეს აგრეთვე ეკლესიური გალობაც. ჩვენი ღვთის-მსახურება უმეტეს ნაწილად შესდგება გალობისაგან, რომელიც ალმობიერებს მსმენელთა და აღამაღლებს სულთა მათთა ღვთისადმი. ხოროს ან სახალხო გალობის დაარსებას სამრეველო

ეკკლესიებში ნაცვლად მარტოკა მედავითნის გალობისა, რომ გაუღვიძოს და გაუძლიეროს სული სარწმუნოებრივი ყოველთა მლოცველთა,—და ერთგული მღვდელი ყოველთვის უნდა ამაზედა ზრუნავდეს, ხოლო რომ ეს საქმე წარმატებით შეაკეთოს, საჭიროა თვითონაც იცოდეს საეკკლესიო გალობა. აი რა და რა ნაირი ცოდნით უნდა აღიჭურვოს თავიდგანვე ის, ვისაც სურს მღვდლის სამსახურის შედგომა, დიდი ბეჯითობაა საჭირო კაცმა ყველა ეს ცოდნანი შეითვისოს. საჭირო კია ისინი მღვდლისათვის; თუ ამ ცოდნათა მოკლებულია მღვდელი, მას არ შეუძლია თავისი სამსახური და წმიდა მოვალეობანი სრულად აღასრულოს; თუ ესრედ მომზადებული არაა მღვდელი, მისი სამსახური არასოდეს არ იქნება სრული და ხშირად შეიძლება მავნებელი და მაცთუნებელიც შეიქმნეს მისი სამწყსოისათვის.

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია საჩხერიდგან.

ამ ოცი წლის წინათ დაბა საჩხერეში და მის მახლობელ სოფლებში არც მაღალი და არც დაბალი წოდების პირთა შორის არ მოიპოვებოდა ისეთი ზნეობით დაცემული პირი, რომელსაც ჯვარ-დაუწერელი ხასა-ქალები ჰყოლოდეს სახლში, მაგრამ დღეს კი აქეთკენ ხშირად შეხვდებით უბრალო გლეხებს, რომელთაც ხასები ჰყავთ სახლებში. დაბა საჩხერეში ხომ ხშირია ამისთანა ზნეობის დამამცირებელი მაგალითები.

რა არის ამ მართლ-მადიდებელი ეკკლესიის წინაალმდეგ მოქმედებათა მიზეზი? რამ გამოიწვია ეს სამწუხარო მოვლენა? ამაზე პასუხის მიცემა ადვილია. დიდი ხანი არ არის, რაც დაბა საჩხერეს მიენიჭა საკუთარი სამსაჯულო და პოლიცია; დაინიშნენ ამ სასამართლოებში მოსამსახურეები, რომელთაც (რასაკვირველია, ზოგიერთებს გარდა) თან მოჰყვათ უკანონო ცოლები და ვისაც თან არ მოუყვანია, მათ აქ იშოვეს. და ასეთი ცხოვრება მათ სრულებითაც არ მიაჩნდათ სინიდისისა და სარწმუნოების წინაალმდეგ საქმედ. ყველასათვის ცხადია, თუ რა ზნეობით გავლენას იქონიებდა ამ ვაჭ-ბატონების საქციელი სოფლის უსწავლელ ხალხზედ! უსწავლელმა ხალხმა მიჰბაძა თავის უფროსებს და «ნაჩალნიკებს» და დღეს აქეთკენ ჩვეულებად გადიქცა ხასების ყოლა და ამას არავინ არ ისირცხვის. დ. საჩხერეში ერთ მოხუცებულ პირს სამი ცოლი მოუკვდა, მეოთხეზედ, როგორც ამბობენ, ფარულად ჯვარი დაუწერია და ჰყავს სახლში. ამ მეოთხე ქალის ხელში ამ მოხუცს კაცს რამდენიმე შვილიც მისცემია. ერთმა მოხუცებულმა გლეხმა ამასწინეთ მოიყვანა სახლში ხასა. მღვდელმა განუმარტა მას, რომ მისი საქციელი ღვთისა და სჯულის წინაალმდეგია. ამაზე მოხუცებულმა გლეხმა შემდეგი უპასუხა თურმე მღვდელს: «რაღა მე მომაგენით, თუ საჩხერეში ჩინოვნიკებს და დიდ კაცებს ჰყავსთ ხასები, მე რა მიჭირს».

გარდა ამისა ზოგიერთნი აქაური მოსამსახურენი ძრიელ უზრდელად ეკიდებიან მღვდლებსაც. წირვა-ლოცვაზედ ძვირად ნახავს მათ კაცი ეკკლესიებში. ამასაც, რასაკვირველია, ცუდი ზედ გავლენა აქვს უსწავლელ ხალხზედ. ერთი აქაური მოსამსახურე პირი ხშირად არღვევს იმ მშვენიერ განკარგულებას, რომლითაც კვირა-უქმე დღეებში აკრძალულია სასოფლო კრებების გამართვა წირვის გათავებამდის. ეს პირი ერთ დროს ისე გაკადნიერდა, რომ თვით თევდორობის დღეს, როდესაც ურიცხვი მაზიარებელი ჰყავდა მღვდელს ეკკლესიაში, დაიბარა იგი სასოფლო კანცელარიაში სრულიად უბრალო საქმისა გამო. მღვ. ვერ გამოცხადდა იმ დღეს; მეორე დღეს, კვირას, წირვის გათავების შემდეგ მღვდელი იახლა «ჩინოვნიკს», რომელმაც დიდი საყვედური გამოუცხადა მღვდელს და თან ძალიან ურიგოდაც მოეკიდა.

ეს ვაჭბატონი ისე დაივლის მთელ ნახევარ მაზრას, რომ კვირა-დღესასწაულ დღეებში კანცელარიაში და ეკკლესიაში, რომელიც ხშირად კანცელარიის მახლობლად მდგომარეობს, არ შეიხედავს.

არ იქნება ურიგო, რომ ამისთანა ვაჭ-ბატონების უკანონო მოქმედებას ყურადღება მიექცეოდეს უმაღლესი მართებლობისაგან, რომლების უზნეო საქციელით უსწავლელი ხალხი ზნეობით მდაბლდება და იხრწნება.

ბლაღ. მ. ი. წ—ელი.

წერილი რედაქტორთან!

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალში. ჟურნალ «მწყემსი»-ს მე-18 №-ში ვიღაც ანდრია ქობაიძე თავის კორრესპონდენციაში ეხება ქობის საბლაღოჩინო მაზრის სამღვდელოებას. თუმცა ამ კორრესპონდენციის შინაარსი მე არ მეხება, მაგრამ სიმართლე მაიძულებს უყურადღებოთ არ დავტოვო ხსენებული კორრესპონდენცია. ბატონი ქობაიძე ბრძანებს: «დიდი ხანია ნაბრძანები აქვთ ეკლესიების კრებულთ მათდამი რწმუნებულ ეკლესიებთან საეკლესიო სკოლების დაარსება, მაგრამ მოხევეებში დღემდის ერთი სკოლაც არ მოიპოვება და არც ვგონებთ, რომ ან შემდეგშიაც გახსნან აქ საეკლესიო სკოლები, რადგან აქ ყველა მღვდლები გაუნათლებელნი არიან»... ბ. ქობაიძე! სიტყვით თქმა ადვილია, მაგრამ სიტყვის საქმედ ქცევა ხშირად საძნელო ხდება. სკოლების გახსნას მოხევეებში ბევრი რამ დამაბრკოლებელი მიზეზები აქვს და შემდეგში, თუ საჭიროება მოითხოვს, ამ მიზეზებსაც დავასახელებთ. სხვათა შორის, ბევრია თქვენისთანა პირნი, რომელნიც სიტყვით სხვანი ბრძანდებიან და საქმით კი სხვანი. ზოგიერთნი თქვენისთანა პირნი, დახმარეების მაგივრად, ყოველ კეთილს საქმეს ძირს უთხრიან და ცდილობენ სათავეშივე ჩაშალონ საქმე. თუ მოხევების მღვდლები, თქვენის აზრით, განათლებით ისე დაბალ წერტილზედ სდგანან, რომ მავნებელიც იქნება მათ მიერ სკოლების დაარსება, თქვენ ხომ განათლებული ჰბრძანდებით, და რატომ არ ურჩევთ თქვენ თანამოძმეებს (მოხევეებს), რომ საერო სკოლები მაინც გახსნან? ბანა ამ გვარი სკოლები კი აწყენდათ მათ?! მაგრამ თქვენც კარგათ იცით, რომ მოხევეებში თუ არა მოძრავი სკოლები, სხვანაირი სკოლები აქ შეუძლებელია. რაც შეეხება მოძრავ სკოლებს, ესეები ჯერ სხვა ქვეყნებშიაც ძრიელ იშვიათად არიან და ჩვენში ხომ მათი ხსენებაც არ არის. შემდეგ ბ. ქობაიძე განაგრძობს: «მღვდლები მუყიათად არ ეკიდებიან საქმეს, რადგან დღე-დღეობით მოელიან აქედგან გადასვლას სხვა სამრეველოში. არც ერთი აქაური მღვდელი ადგილობითი მკვიდრი არ არის; რომ ყველა მღვდლები აქაურნი იყვნენ, მაშინ ესენიც ისე მუყიათად მოჰკიდებდნენ საქმეს ხელს, როგორც დეკანოზი იტონიევი, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს და ეკლესიებს». ბ. ქობაიძე! მოხევეებში ოთხი მღვდელია, ორი ადგილობითი მკვიდრი, ორიც გარემოსული და არ ვიცი, რა გაიძულებთ, როცა ბრძანებთ: «არც ერთი ადგილობითი მკვიდრი არ არისო?!» აბა ერთი მიბრძანეთ, რა განსხვავებაა ადგილობითი მკვიდრ და გარეშე მოსულ მღვდლებს შორის მათ სამღვდელო მოვალეობის აღსრულების დროს? თქვენ არ ბძანდებოდით, რომ «მწყემსი»-ს (№ 6, 1888 წ.) ერთს ნომერში, ერთი მოხევეების მღვდელი, არა მოხევე, ცამდის აიყვანეთ ქებით და დღეს მიწასთან ასწორებთ მას. მე ამით ის არ მინდა ვსთქვა, რომ იგი ღირსი იყოს ქებისა, ან ძაგებისა, მაგრამ ისაა სასაცილო, რომ ერთსა და იმავე პირზე ჰოსაც ამბობთ და არასაც. ერთსა და იმავე საგანს, როცა გნებავთ, თეთრად ხედავთ და როცა არა, შავად. თქვენ ბრძანებთ: «დეკანოზმა იტონიევმა დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს და ეკლესიებსაო». არ შეიძლება, ბ. ქობაიძე, თქვენი სიტყვები დაასაბუთოდ მაგალითებით? დეკანოზი იტონიევი ოც-და-ათი წელიწადი იყო ბლაღოჩინად მოხევეებში და არა მხოლოდ შვიდი წელიწადი, როგორც თქვენ ბრძანებთ და როგორც განათლებულმა პირმა და ბლაღოჩინმა ოც-და-ათი წლის განმავლობაში რატომ საეკლესიო სკოლა არ დაგიარსათ? იქნება ის მიგაჩნიათ კეთილ საქმედ, რომ მ. იტონიევი პოლიციურ ძალასა ხმარობდა, რათა ხალხში მოესპო ისეთი ჩვეულებანი, რომლებშიაც იხატება ეროვნული გრძნობა ხალხისა და სრულიად უვნებელნი არიან მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისათვის?..

გუდამაყრის მღვდელი იობა ურუშაძე.

ოდესიდგან.

ოდესაში ივნისის თთვის უკანასკნელს 26, 28, და 30 რიცხვებში მოლდავანკის პეტრე-პავლეს ეკკლესიის მოსამსახურეებმა შენიშნეს, რომ საკურთხევლიდამ წაღებული იყო ვერცხლისა და ოქროს სხვა-და-სხვა ნივთები. ეკკლესიას ყოველთვის ჰკეტავდა ხოლმე მოსამსახურე მედავითნის ზედამხედველობის ქვეშ; ეკკლესიის კარები და ფანჯრები ხელუხლებელნი ხვდებოდათ, ამიტომ ეჭვი შეიტანეს ყარაულებზე და მოსამსახურეებზე, რომელნიც გაკვირვებულნი იყვნენ და არ იცოდენ, თუ როგორ იკარგებოდა ეკკლესიიდამ სხვა-და სხვა ნივთები. ყარაულები დაუდარაჯდენ ქურდს, მაგრამ ყოველივე ამაო შეიქმნა. ამ ბოლოს დროს, ერთ დილას, მოსამსახურეები შევიდნენ ტაძარში და ჩვეულებისამებრ დაათვალიერეს ეკკლესიის ყველა კუთხეები, შემდეგ შევიდნენ საკურთხეველში. შენიშნეს, რომ ტრაპეზზე მდებარე ნივთები უწესოთ ეყარნენ და მასთან ერთი ნივთიც აკლდა. მოსამსახურეებმა კიდევ დაათვალიერეს ეკკლესიის ყველა კუთხეები და შემდეგ მათ განიზრახეს ტრაპეზის ქვეშ შეხედვა. როცა ტრაპეზის გადასაფარებელი ასწიეს, მათ თვალწინ წარმოუდგათ შემდეგი სანახავი: ვიღაც უცნობი და მთლად დაგლეჯილი პირი მოკუნტული იჯდა ტრაპეზს ქვეშ, ხელში ეკავა სამსხვერპლოდამ ახლად მოპარული ნივთი, შესჩერებოდა მოსამსახურეებს თვალებში და რაღაც საოცრად იღიმებოდა... მოსამსახურეებს პირველად ცოტა არ იყოს შეეშინდათ და გამოარდენ საკურთხევლიდამ, მაგრამ მალე მოვიდნენ გონზე და მობრუნდენ ქურდის დასაჭერად. ამ დროს ქურდი გამოვარდნილიყო ტრაპეზის ქვეშიდგან და კარებს უკან მიმალულიყო. მოსამსახურეები ეხლა კიდევ უფრო გაოცდენ. ბოლოს იგინი მოეიდნენ გონზე, სტაცეს ხელი ქურდს, გამოათრიეს გარეთ, ძლიერა სცემეს და მერე წარუდგინეს ტაძრის წინამძღვარს. წინამძღვარმა ურჩია ქურდს გამოტეხილიყო და შემდეგ გაგზავნა პეტრეპავლოვის პოლიციის ნაწილში. როცა ამ უცნობს ჰკითხეს მისი ვინაობა, მან განაცხადა, რომ იგი რუსის ცნობილი აქტიორი იამაროვია, შვილი დეისტ. სტატ. სოვეტ., ალექსანდრე ნოტოვიჩი. შემდეგ განაცხადა, რომ ქურდობა გაბედვია მას უკიდურესმა სიღარიბემ. ტაძარში შეპარვა იგი ღვთის-მსახურების დროს, როცა ეკკლესიაში ბევრი ხალხი იყო და ეკკლესიის მოსამსახურენი საქმეში იქნებოდენ ხოლმე გართულნი. იგი რამოდენიმე დღეს ყოფილა ხოლმე მშიერი, მაგრამ მას მოწყალებას არავინ არ აძლევდა, თუმცა იგი ყველას სთხოვდა სამოწყალოს. ნოტოვიჩი გამოტყდა და აჩვენა ის პირი, ვისაც მიჰყიდა მან მოპარული ნივთები; ნივთები მაშინვე ნახეს, მაგრამ დამტვრეულები იყვნენ. ნოტოვიჩი გადასცეს სამსაჯულოს გამომძიებელს. საწყალს გიჟის შეხედულება აქვს და ამიტომ იგი გაგზავნეს საქალაქო სამკურნალოში, რომ გასინჯონ იგი გონებითის მხრით. «День».

ახალი ამბები და შენიშვნები.

მოგვყავს აქ ზოგიერთი შესანიშნავი ტელეგრამმები 17-ს ოქტომბერს რკინის გზაზედ საიმპერატორო მატარებელის დამსხვრევის შესახებ, რომელშიაცა ბრძანდებოდენ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი მთელის უავგუსტოესის სახლობით და ამალით.

19 ოქტომბერი.

საიმპერატორო კარის მინისტრის დეპეშა, 18-ს ოქტომბერს. «მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა, მემკვიდრე ცესარევიჩმა და მთელმა სამეფო სახლობამ კეთილად განვლეს სადგური დოლინსკაია».

დღეს ისააკის ტაძარში გადახდილ იქმნა პარაკლისი იმის გამო, რომ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი გადარჩენ განსაცდელს. ბუშინ პარაკლისი გადახდილ იქმნა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა ეკკლესიებში. თეატრებში, წარმოდგენის დაწყებამდე, რამდენჯერმე აღასრულეს საერო საგალობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშა საიმპერატორო კარის მინისტრისა: საიმპერატორო მატარებელი, გამოსული ტარანოვსკის სადგურიდგან შუადღისას 17-ს ოქტომბერს განსაცდელს მიეცა მე-277 ვერსზე ტარანოვკასა და ბორკას სადგურს შუა, როცა გადადიოდა ხევზე, რომელიც საკმაოდ ღრმა და მიწით ამოვსებულია რკინის გზისათვის. ბანსაცდელის დროს მათნი უდიდებულესობანი, მთელის უავგუსტოესის სახლობით, და თან ხლებული ამალა საუზმეს მიირთმევდნენ სასადილო ვაგონში. როცა პირველი ვაგონი გადმოსხლტა რელსებიდგან, მოხდა საშინელი რყევა; შემდეგ ვაგონები ორსავე მხარეს აქეთ-იქით გადაცვივდნენ: სასადილო ვაგონი. თუმცა ადგილზევე დარჩა, მაგრამ შეუძლებელი-ღა იყო მისი ცნობა, მთელი ძირი თვლებით გამოსცვივდა; კედლები ძრიელ შეიღრიკა და მარტო ჭერმა, ერთ მხრივ გადახრილმა, დაიფარა ვაგონში მყოფნი. შეუძლებელია წარმოდგენა; რომ ვინმე გადარჩენოდა ამ საშინელს მსხვრევასა; მხოლოდ უფალმა ღმერთმა დაიფარა ხელმწიფე და მისი სახლობა. დამსხვრეულ ვაგონიდგან უვნებლად გადმოიბრძანდნენ მათნი უდიდებულესობანი და მათნი უავგუსტოესნი ძენი. ბადარჩნენ სხვანიც, ამ ვაგონში მსხდომნი, მხოლოდ მსუბუქ ნატკენობასა და ნაკაწრებს ვერ გადურჩნენ. ფლიგელ-ადიუტანტი შერემეტიევი კი სხვებზე უფრო ნატკენია, მაგრამ მძიმედ-კი არა. სამწუხაროდ, სხვა ვაგონების დამსხვრევას-კი უბედურება მოჰყვა: დახოცილ არიან ფელდეგერის კორპუსის შტაბს-კაპიტანი ბრეში, მკურნალის თანაშემწე ჩეკუევი, გადამწერი შერნბერგი, ოფიციანტი ლაუტერი, ორი შიკრიკი, კამერ-კაზაკი, ერთი ეგერი; გზაში მხლებელთაგანი: ორი ზეინკალი, ორი კონდუქტორი, სახლის მოძრთავი, ექვსი ჯარის-კაცი რკინის გზის ბატალიონისა; 18 კაცი დაჭრილია. ბარონ შერვნალი ძალიან არის ნატკენი. ხელმწიფემ ინება დათვითონ განაგებდა დაჭრილთა მოვლისა და შველის საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდი ტაროსი იყო, ძლიერი წვიმა და ტალახი, მისი უდიდებულესობა რამდენჯერმე ჩაბრძანდა ძირს ფერდობზე დახოცილებთან. ამალის ვაგონები დაბარებულ იქმნენ და ხელმწიფე იქ შეეფარა მხოლოდ მაშინ, როცა უკანასკნელი დაჭრილი გადატანილ იქმნა სამკურნალო ვაგონში. დაჭრილები გაისტუმრეს ხარკოვს და თან გააყოლეს გენერალ-მაიორი მარტინოვი, ხოლო პოლკოვნიკი გერნეტი ადგილზედვე დასტოვეს, რომ განკარგულება მოეხდინა დახოცილთა გადასატანად და დამსხვრეულ ვაგონებიდგან ბარგის მოსაგროვებლად. ხელმწიფემ ბრძანა დახოცილთა გვამები გადატანონ პეტერბურგს და მათ სახლობას ღონისძიება ცხოვრებისა აღმოუჩინონ. გზის შეკვრის გამო ამალის ვაგონები, საცა ბრძანდებოდნენ მათნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის სახლობითა, გადიყვანეს ეკატერინეს რკინის გზის შტოზე ლიზოვის სადგურს მისასვლელად, ამ სადგურზე უმაღლესის ბრძანებით მოწვეულმა სოფლის სამღვდელოებამ მათთა უდიდებულესობათა თანადასწრებით გადიხადა პანაშვიდი ამ უბედურის შემთხვევისაგან დახოცილ მსხვერპლთათვის და სამადლობელი პარაკლისი საკვირველის გადარჩენისათვის ამ საშინელის განსაცდელისაგან. შემდეგ ღვთის-მსახურებისა ხელმწიფემ მოიწვია სადგურის დარბაზში დაგვიანებულს სადილზე ყველანი თანთხლებულნი, ხელზე მოსამსახურენიც-კი. ბამოძიება აღმოაჩენს ნამდვილს მიზეზს ამ განსაცდელისას; ხოლო უეჭველია, რომ არა რომელიმე ბოროტგანზრახულობას აქ, ამ უბედურს შემთხვევაში, ადგილი არა აქვს.

22 ოქტომბერს.

ბუშინ საღამოს მოიტანეს 14 კუბო მეუფის მატარებელის უბედურებაზედ დახოცილებითურთ. მცირე პარაკლისის შემდეგ ეს კუბონი დააწყეს დროგებზედ და წაიღეს ხალხით სავსე ქუჩებზე. გარდაცვალებულთ მისდევდნენ მომტირალე ნათესავები.

«Прав. Вѣст.»-ში ახალი დაწვრილებული ცნობებია დაბეჭდილი სამეფო მატარებელის უბედურების შესახებ. უპირველეს ყოვლისა ლიანდაგს გადასცილდა გზათა მინისტრის ვაგონი. მთელის მატარებლიდგან უვნებელი დარჩა მხოლოდ ორი წინა და სამი უკანა ვაგონი. ის ვაგონი, რომელიც სასადილო ოთახად იყო გაკეთებული, ისეა დამსხვრეული, რომ ადამიანი ველარ იცნობს: თვლები გვერდზე აქვს გატყორცნილი, კედლები პატარა ნაჭრებად ქცეულა, ხოლო სახურავი, გვერდზედ მოქცეული, ზედ აფარია ამ ნანგრევებს. იმავე ბუფეტის ვაგონში მოკლულია მოსამსახურენი: ის ვაგონი, რომელშიაც იყო დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, გარდი გარდმო მოტრიალებულა უეცრად, წინა პირი მოჭგლეჯვია და განახევრებულის ვაგონიდგან დიდი მთავრინა ფერდობზე უსროლია. ასევე დამართებიათ

დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს-ძესა და თავადს Ობოლენსკის. მოკლულთა და დაშავებულთა ძებნის დროს ყველაფერს ხელმწიფე განაგებდა მიუხედავად მისა, რომ ფეხი ნატკენი ჰქონდა; იმპერატრიცა ყურადღებას არ აქცევდა თავისს დაჭრილს ხელს და დაშავებულთ შველოდა და შემწეობდა. ამალაში ფლიგელ-ადიუტანტს შერემეტიევს მოგლეჯილი აქვს თითის ერთი ნაწილი და მკერდი დაჰბეჭვია; ფრეილინას კუტუზოვისას ფეხი აქვს დაშავებული. დიდად ნატკენნი არიან გენერლები ვორონცოვ-დაშკოვი, ვანნოვსკი, დანილევსკი, რიხტერი და ჩერევინი. ამბობენ, რომ ეს უბედურება მოხდა გზათა მინისტრის ვაგონის დამტვრევის გამო და ეს ვაგონი-კი ან დედამიწისა და ან დამპალ შპალების დაწევის მიზეზით უნდა დამტვრეულიყოვო. ხელმწიფე იმპერატორმა თავისის ხელით გადასცა ჯანდარმის აფიცერს ერთი ნაჭერი დამპალის შპალისა გამოძიების დროს წარსადგენად.

23 ოქტომბერი.

ღღეს მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი მობრძანდნენ ბატჩინოდამ პეტერბურგს. ქალაქი მორთულია დროშებით. ქუჩებზედ მწკრივად ჯარები იდგნენ და შეგირდები სამხედრო სასწავლებლებისანი. რკინის გზის სადგურზედ მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ დიდებულნი, უმაღლესი მოხელენი და დეპუტაციები სხვა-და-სხვა წოდებათაგან; მიართვეს ადრესები: პეტერბურგის თავად-აზნაურთა და ქალაქისაგან. მიართვეს აგრეთვე ხატები: ხელმწიფე იმპერატორს გვარდიის კორპუსის კომანდირმა პრინცმა ოლდენბურგისამ გვარდიის ჯართაგან და ქალაქის თავმა—ქალაქისაგან, ხელმწიფე იმპერატრიცას—ქალაქის ქალთაგან, მათ უდიდებულესობათა მადლობა გადაუხადეს და თავ-ახდილის ეტლით წაბრძანდნენ ყაზანის ტაძარში. მთელს გზაზე ჯარები იდგნენ მწკრივად, აგრეთვე შეგირდები სასწავლებელთა; ერი დიდის სიხარულით მიეგება მეფესა და დედოფალს. ყაზანის ტაძრიდამ შეგირდებმა უნივერსიტეტისა და სამკურნალო აკადემიის სტუდენტებმა, «ურას» ძახილით გააცილეს მათნი უდიდებულესობანი ანიჩკინის სასახლემდე. მერე მათ უდიდებულესობათა პირჯვარი დაიწერეს პეტრე პავლეს ტაძარში და დაბრუნდნენ უკან გატჩინოს. საღამოზე ქალაქი მშვენიერად იყო განათებული ჩირაღდნებით. შეგირდები სამის ღღით იქმნენ დათხოვნილნი.

უმაღლესი მანიფესტი 23 ოქტომბერს:

«მიუწთომელმა განგებამ მოიდო ჩვენზედ ღვთის მოწყალების სასწაული: იქ, სადაც იმედი ადარ იყო კაცისაგან შველაზედ, უფალმა ღმერთმა ინება სასწაულებრივ დაეფარა სიცოცხლე ჩემი, იმპერატრიცისა, მემკვიდრე ცესარევიჩისა და ყველა ჩვენის შვილებისა. და შემოუერთდა ყველა ჩვენი ქვეშევრდომთა ლოცვა ჩვენ სამადლობელს ლოცვას ღვთისადმი ჩვენი დაფარვისათვის! ღვთის მიუწთომელი განგების წინაშე ძრწოლვითა და კრძალულებით გვრწამს, რომ ღვთისაგან ჩვენზედ და ჩვენს ხალხზედ მოვლენილი წყალობა არის მისაგებელი იმ მხურვალე ლოცვისა, რომელსაც ყოველ-დღე ადავლენენ ჩვენთვის ღვთისადმი რუსეთის ათასნი ძენი ყოველგან, საცა კია წმიდა ეკლესია და იდიდების სახელი ქრისტესი. განგებამ უფლისამ, დამფარველმა ჩვენი სიცოცხლის, რომელიც შეგვიწირავს საყვარელი სამშობლოის საკეთილ-დღეოთ,— მოგვცეს ჩვენ ძალა ბოლომდე ადვასრულოთ ის დიდი სამსახური, რომელზედაც მისივე ნებით მოწოდებელი ვართ.

Oბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალ' გენერალ ლეიტენატს თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის შემდეგი დეპეშა მოსწერა საიმპერატორო კარის მინისტმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა:

«ხელმწიფე იმპერატორი გმადლობთ თქვენა და მთელს ქართველს თავად-აზნაურობას იმ უქვეშევრდომულესს გრძნობათა და კეთილ სურვილთათვის, რომელიც თქვენ გამოსთქვით თქვენს დეპეშაში.

გრაფი ორონცოვ-დაშკოვი».

აი ის დეპეშაც, რომელიც გაუგზავნა თავადმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ საიმპერატორო კარის მინისტრს:

«პეტერბურგს. საიმპერატორო კარის მინისტრს გრაფს ვორონცოვ-დაშკოვს.

«გულის ძრწოლითა და თრთოლითა მიეგება ერთგული ქართველი თავად-აზნაურობა საშინელს ამბავს სამეფო მატარებლის დამსხვრევისას. იმის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა თავად-აზნაურობამ შეიტყო, რომ უზენაესის მარჯვენამ სასწაულებრივ გადაარჩინა განსაცდელისაგან ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და უავგუსტოესნი ძენი. მთელი საქართველო, სიხარულისაგან თვალ-ცრემლიანი, ჰმადლობს უფალსა ღმერთსა გადარჩენას თავისის მორჭმულის ბრძანებლისას, მის უავგუსტოესის სახლობისას და ევედრება უზენაესს მრავალ-ჟამიერ ჰყოს მათი სიცოცხლე.

***

კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწის მეუღლემ, ე. ბ. შერემეტიევისამ, 19-ს ოქტომბერს დეპეშით მიულოცა ხელმწიფე იმპერატრიცას მშვიდობით გადარჩენა განსაცდელისაგან და გატჩინოდგან პასუხად შემდეგი დეპეშა მიიღო:

«გულითად გმადლობთ თქვენცა და ქალაქის მანდილოსანთაც დეპეშისთვის. მართლაც-და უფალმა ღმერთმა გადაგვარჩინა საშინელის განსაცდელისაგან.

აი ე. ბ. შერემეტიევის დეპეშაც:

«თბილისის მანდილოსანთა, დაბრუნდნენ რა დიდი ამბით გადახდილ პარაკლისიდგან, მომანდევს მე მოგიძღვნათ თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ფეხთა წინაშე და განგიცხადოთ მათი განუსაზღვრელი და დიდი სიხარული თქვენთა უდიდებულესობათა სასწაულებრივ გადარჩენის გამო. ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა ისმინა ვედრება თვისის წილ-ხდომილის ქვეყნის დედათა და ასულთა და დაიფარა საფარველითა თვისითა ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი და უავგუსტოესნი ძენი, როცა უკან ბრუნდებოდნენ თავიანთის მიბრძანებით გაბედნიერებულ ქვეყნიდგან».

***

ამას წინეთ ჩვენ გაზეთში იყო მოხსენებული, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში უნდა შემოიღონ ზოგიერთის ახალის საგნების სწავლება, მაგალითად, საეკკლესიო მხატვრობისა, მწვალებლობისა (расколъ), ისტორიისა და ექიმობისაო. ამ ბოლოს ხანებში ეს ფრიად კეთილი განზრახვა კიდეც აღსრულდა. ამ რამდენისამე დღის წინათ სემინარიის მთავრობამ მხატვრობის მასწავლებლად მოიწვია ბ-ნი ნ. პ. სოლოვიოვი, მასწავლებელი რეალურის სასწავლებლისა. მხატვრობის გაკვეთი კვირაში სამჯერ არის დანიშნული, ნაშუადღევის სამ საათიდგან 4-მდე. მხატვრობის სწავლა შეგირდებისათვის სავალდებულო არ არის. მწვალებლობის ისტორიის მასწავლებლად მოწვეულია ბ-ნი ივანოვი, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ოსტატი, რომელიც ამ ჟამად თბილისში იმყოფება. ექიმობის სწავლება-კი ამ რამდენსამე დღეში დაიწყება. მასწავლებლად მოწვეულია სემინარიის ექიმი ბ-ნი მიშკინი. ექიმობის სწავლება იწყება მეხუთე კლასში და უნდა დასრულდეს მეექვსეში.

***

19 ოქტომბერს თბილისის სიონის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცისა და მათი უავგუსტოესის სახლობის მშვიდობით გადარჩენის გამო საშინელის განსაცდელისაგან. პარაკლისი შეასრულა საქართველოს ეგზარხოსმა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პალლადიმ. ტაძარი მთლად სავსე იყო ხალხით, რომელთა პირის სახეზე იხატებოდა სიხარული, რომ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და მათი უავგუსტოესი სახლობა მშვიდობით გადარჩა საშინელს განსაცდელს.

***

19 ოქტომბერს ქუთაისის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი მათ უდიდებულესობათა და მათი უავგუსტოესი სახლობის მშვიდობით გადარჩენის გამო საშინელის განსაცდელისაგან. პარაკლისი შეასრულა დეკანოზმა მ. ცაგარეიშვილმა ქალაქის სხვა მღვდლების თანადასწრებით. ტაძარში გარეშე ხალხს გარდა დაესწრნენ სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა მოსამსახურენი.

***

დაბა ყვირილაში ადგილობით იოანნე ნათლისმცემლის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა ამ გვარივე პარაკლისი ეკკლესიის წინამძღვრისაგან, რომელმაც პარაკლისის გათავების შემდეგ წარმოსთქვა შემთხვევის შესაფერი სიტყვა. მრევლთა გადასწყვიტეს მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა და მათი უავგუსტოესი სახლობის ყვირილაში მობრძანებისა და საშინელის განსაცდელისაგან გადარჩენის სახსოვრად იყიდონ თავის ეკკლესიისათვის ზარი არა ნაკლები ხუთასი მანეთისა.

განცხადებანი.

ქვაბთახევის მონასტერში, რომელიც მდებარეობს გორის მაზრის სოფლების ახალ-ქალაქის და კავთიხევის მახლობლად ამ წლის შემოდგომიდან იხსნება დიაჩოქობის თანამდებობაზედ მოსამზადებელი სკოლა. ამაზედ მივიღე კიდეცა 20-ს წარსულს ივლისს ნებართვა და ლოცვა-კურთხევა მისის მადალ-უოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის არქიეპისკოპოსის პალლადისაგან. მიზანი ამ სკოლის გახსნისა არის მომზადება დიაჩოქის თანამდებობაზედ იმ სასულიერო წოდების პირთა, რომელთაც არა აქვთ ღონისძიება სწავლის მიღებისა, ანუ ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში სწავლის შესრულებისა, და რომელთაც თუმცა სწავლა შეესრულებიათ სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ ვერ გადასულან სასულიერო სემინარიაში, და უცოდინარობისა გამო ქართულის ეკლესიურის კითხვისა, გალობისა, ტიბიკონისა და სხვერ განწესებულან დიაჩოქად, რომ მით მაინც იქონიონ დღიური ლეკმა. ამ სკოლაში მოწაფენი შეისწავლიან გალობასა ქართლ-კახეთის—კარბელოვის კილოზედ, გარკვევით და ყველასათვის გასაგონლად კითხვასა საღმთო მსახურების წიგნებისას, ეკლესიურს ტიბიკონსა, კატეხიზმოსა, ისტორიასა და სხვათა საგანთა, საჭიროთა დიაჩოქის მოვალეობის აღსრულებისათვის. პროგრამმა საგნებისა, როგორც მოხსენებული მაქვს ჩემს რაპორტშიდაც, რომლითაც ვსთხოვე საქართველოს ექსარხოსსა ნება-რთვა აღნიშნულის სკოლის გახსნაზედ, შესდგება და წარუდგება მის მადალ-უოვლად უსამღვდელოესობას დასამტკიცებლად მაშინ, როდესაც შეიკრიბებიან მოწაფენი და ვიშოვნი მათთვის ერთსა ანუ ორსა მასწავლებელსა, მოწაფეთა რიცხვთა და საშუალებისა დაგვარად. ეს კეთილი და საკარგებლო საქმე უნდა დაწყებულიყო სამადლოდ და უფასოდ მონასტრის ხარჯზედ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ქვათახევის მონასტერს არა აქვს ნივთიერი საშუალება და არა ჰყავს ისრეთნი ბერნი, რომელთაც შეეძლოთ ტვირთვა მოწაფეთა სწავლისა. ამისათვის პირველს შემთხვევაში, ვიდრემდისინ აღმოვაჩენდე სხვა საშუალებასა და წყაროსა ამ სკოლის არსებობისათვის, მოწაფენი გადაიხდიან თვეში ექვს მანეთს ფულად მასწავლებლის დასაქირავებლად და მონასტერში საზრდოებისათვის.

ვაცხადებ რა ამას, ვსთხოვ, ვისაც სურს ამ სკოლაში სწავლის მიღება, ჯერ მაცნობოს კერძო წერილით: 1) ვისი შვილია, 2) რამდენის წლისაა, 3) სად უსწავლია და რომელი კლასიდგან არის გამოსული, და თუ არსად არ უსწავლია, ეკლესიური წიგნების კითხვა, ცოტა-დენი მაინც არის, იცის თუ არა, 4) სადა სცხოვ, რებს და რომელის ფოსტის ადგილით ანუ ბლაღოჩინით მიეწეროს ჩემგან პასუხი. როდესაც მეცოდინება რიცხვი მსურველთა, იმის და გვარად მეც დავამზადებ მონასტერში სკოლისა და ბინისათვის ოთახებსა, მასწავლებელსაც ვიშოვნი-და მსურველთ წერილით ვაცნობებ დროსა მონასტერში გამოცხადებისასა. წერილი გამოიგზავნება ჩემთან ამ ადრესით; Въ Тифлисъ, Члену Грузино-Имеретинской Синодальной Конторы, Архимандриту Николаю, თბილისში, ნიკოლაოზს.

მ. მ. ბლაღოჩინებს ვსთხოვ, ეს განცხადება აცნობონ იმ კრებულთაცა, რომელთაც არ მისდით ჟურნალი «მწყემსი».

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი და წინამძღვარი ქვაბთახევის მონასტრისა, არქიმანდრიტი ნიკოლაოზ.

ისყიდეგიან

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი
და გამოცემული წიგნები:

თბილისში: ზრიქეროვის, ჩარკეიანის და
ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, ჭუთაისში:
ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ყვირი-
ლაში: თვით გამომცემელთან და ხონში:
წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

საქართველოს საეკლესიო
ისტორია,

ფასი ყდით—ცხრა შაური

ქართული ლოცვანი,

თთვეთა მეტყველობით, ქორონიკონით და მართლ-მადი-
დებელი ეკლესიის უმთავრესი დღესასწაულების ისტო-
რიული მოთხრობით.

ფასი უყდოთ 30 კ. და ყდით 45 კ.

ახალი გარაბადინი

ფასი ერთი მანეთი.

ეს წიგნი განხილული და ნება დართულია კავკასიის
საეპიმო რჩევისაგან.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულე-
ბის დროს საჭირო

სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი ყდით ხუთი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა

წესდებულება,

ფასი ყდით—50 კ. და უყდოთ 40 კ.

მცხეთის ტაძარი
და
წმიდა ნინო,

ქართველთ განმანათლებელი
სურათებით ფასი 25 კ.

გაენათის მონასტერი

და ცხოვრების აღწერა მეფის

დავით აღმაშენებელისა.

ფასი ექვსი შაური.

წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე
და
მოწამეთის მონასტერი
ფასი 5 კაპეიკი.

სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის
და სახალხო საკითხავი წიგნაკები:

ვასილი დიდი, სურათით—ფასი . .	2 კ.
მირქმა უფლისა, ,, ,, . .	2—
დიდ-მარხვის ფინ, ,, ,, . .	2—
ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით	2—
გზობა სურათით	2—
აღდგომა სურათით	2—
ვონტოელი ვილატეს მეუღლის წე-	2—
რილი თავის მეგობარ ქალთან . .	5—
მეფე სოლომონ ბრძენი, სურათით .	5—
ცხოვრების აღწერა წმ. ბოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . .	2—

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ
ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა სამი შაური.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცა-
ლისა, ის ფოსტის გასაგზანს არ იხდის.

შინაარსი: მოგზაურობა ხელმწიფე იმპერატორისა და მისი უავგუსტოესის
სახლობისა.—მღვდლის სამსახურისადმი მოწოდებაზე.—«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია საჩხერიდამ.—წერილი რედაქ-
ტორთან.—ოდესიდგან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. დამბაშიძე. *Дозв. цензурою Кутаисъ, 29 Октября 1888 г.*

საკუთარი მსწრაფულ-მბეჭდავი რედაქციისა.